დეკ. ქეიშვილის სიტყვებმა ძლიერ გააოცა კრება და ბევრს სიცილიც მოჰგვარა. მართლაც სასაციხოა ამგვარი მსჯელობა იმისთანა პირისა, რომელიც კარგა ხნობით ყოფილა სანთლის ქარხნის მმართველად, რომ ასე სამწუხარო არ იყოს!..

ეპარქიის კანცელარიის მდიანმა განაცხადა, რომ მისგან შედგენილი სანთლის მართვა-გამეგობის პროექტი მოსახერხებელი იყო იმ დროს, როცა ყოველად სამღვდლო ნიშნავდა მმართველებს და ჯამაგირსაც თვითონ უნიშნავდა. დღეს, როცა სამღვდლოებს გარდასცეს ქარხნის მართვა-გამეგობის საქმე და ჯამაგირსაც თვითონ სამღვდლოება უნიშნავს, რასაკვირველია, ეს პროექტი არ გამოდგება. თავის დროზედ ადვილი ასასრულებელი იყო ეს პროექტი, მაგრამ არც ერთმა ქარხნის მმართველმა არ აღასრულა იგი.

ქეიშვილისა და დოლაბერიძის მაგივრად კრებამ სხვა წევრები აღირჩია და ამით გაათავა სანთლის ქარხნის საქმე და პროექტიც, დეკ. დავით ლაშაშვიძის მიერ შედგენილი, მიიღო.

საქმის შეწარმოებელმა ი. ტაბიძემ გრძელი სიტყვით დაუმტკიცა კრებას ზოგიერთი დებუტატების ახირებული მსჯელობა და აზროვნების გასაოცარი ცვილილება. „ამისთანა უსაფუძვლო აზროვნობას არ მოველოდიო, სთქვა მ. ტაბიძემ, არა თუ მაღალსა და საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთა, არამედ უსწავლელ დებუტატთაგანაც. გუშინ დამადგინინეთ რეზოლიუცია და ვანჩინება ასეთი, დღეს კი მეუბნებით სულ სხვანაირის დადგენას. ესეი განა შესაძლებელია!“

სანთლის ქარხნის წესდების პროექტის შესახებ დეკ. ცავარციშვილი და რამოდენიმე დებუტატები თავის აზრზე დადგენ, რომელიც კიდევ შეაერთეს კრების ჟურნალთან.

ასე გათავდა მე-XXXV იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების რიგის კრება. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოგვეყვანა ზოგიერთ დებუტატთა სიტყვები, რომ საზოგადოებამ თვითონ შეადგინოს თავისი აზრი დებუტატების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, ვისაც სანთლის საქმე საინტერესოდ მიაჩნია, ვინც გულდასმით წაიკითხავს კრების ანგარიშს, ადვილად გაიგებს, თუ ვინ კოქლობს მსჯელობაში და ვის უფრო შესტკვივა გული ამ საზოგადო კეთილ დაწესებულებაზე. დარწმუნებული ვართ, ბევრს სასიამოვნოდ არ დაურჩება თავის წარმოთქმული სიტყვები, მაგრამ რა გაეწყობა. შემდეგში იქნება მაინც გაურთხილდენ იგინი და აღარ წარმოსთქვან სიტყვანი მოუღვივებლად და უადგილოდ. ერთი ბატონი ამტკიცებდა ამ დღებში, რომ კარგი იქნება სამღვდლოების კრება სულ მოსპონო. რასაკვირველია, ეს სასურველია და სასიხარულო მართლ იმ პირთათვის, რომელთაც ჰსურთ, რომ მათი საქმის წარმოება და მოქმედება ბნელით იყოს მოკული. მაგრამ უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ეს არ ჰსურს და ღმერთმაც ნუ ჰქმნას.

ჟურნალები ჯერაც არ არის დამტკიცებული და, როცა დამტკიცდება, იმედია, ვაცნობებთ მკითხველს.

ვათავებთ რა სამღვდლოების კრების ანგარიშს, საჭიროდ მიგვანჩია ერთი შეცდომის გასწორება. ამას წინეთ ჩვენ იმერეთის ეპარქიის სანთლის მოგება 1895 წ. ვაჩვენეთ 4900 მან., მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა. წარსული წლის 1895 წ. სანთლის წმინდა

მოგება არის 3000 მან., რადგან ანგარიშში ნაჩვენები იყო 2500 მან. წარსული 1894 წლ. და 57 ფუთი ცვილი სანთელი. წარსული წლების შემოსავალიც ძლიერ ცოტა ყოფილა, თუმცა სანთლის ქარხნის ძველი მშობრელები ამბობენ, რომ ბევრი შემოსავალი იყო. ძველი წლების ანგარიშებს იკვლევენ, მაგრამ საეჭვოა, რომ დღეს შეიტყონ ის, რაც არ შეუტყვიათ რვა წელიწადში...

დამსწრე.

სიყვება,

თქმული მათი მალე ყოვლად უსამღებდელეობის, პეტერბურგის მიტროპოლიტის პალატიდან 22 იანვარს, 1896 წ. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის პეტერბურგში დიდებულნი შემობრძანების დროს წმიდა გვირგვინოსნების შემდეგ.

უკეთილმასხურესო, დგოვად გვარგვანოსნო, დიდო ხელმწიფე იმპერატორა!

გურთხევამან დგთისამან მოჰყვნა ნათელი დიდი თვად გადაუწვდენელ სამ ფოს რუსეთისას. დიდი სადმართო მხარულება შესრულდა წმიდა ნაშთებით და ისტორიულ შემთხვევებით შესანიშნავს ძველ სატახტო ქალაქს მისკოვში, — მხარულება უოვლად სასხარულო მენი გვირგვანოსნებისა, დგთივად დრჩეფლო, მეფედ წინაპართა და მობეფთო ტახტზე და სული წმიდისაგან მირონცხება, — მხარულება მენი დიდებისა, — მხარულება უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებსა მენდამი რუსეთის ხალხისა.

სამეფო სატ.ხტო ქალაქი მენი გულითადი სიყვარულით თვადს ადგენებდა ქველსა მენს მგზავრობის, გელით და სულით უოველთვის მენთან იყო, და მეფის მოყვარულ მთელ რუსეთთან ერთად ადგვდენდა უზენაესისადმი, მეფეთა მეთისადმი, მხურვალე ლაცვანს, რათა

მოვანიჭოს მენ დმერთმან სამეფო ძალა და სიბრძნე დასაუკველად მენი ხელმწიფებისადმი რწმუნებულ ხალხსა მშვიდობით და მუდრობით, რათა მენი სკიპეტრის მფარველობის ქვეშე განატარან მუდრო და უმფროველი ცხოვრება უოველსა კეთილ ცხოვრებასა და სიბრძნესა შინა სახსებით და ბედნიერებით.

სატახტო ქალაქის მცხოვრებთა ადტაყებულის სხირულით თქვენდამი მიგებება ცხდათ გვიჩვენებს, თუ რამდენად მდიდარსა სამეფო ქალაქი ესე უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით თქვენ უდიდებულესობისადმი.

მიედო, უოვლად მოწყალეო ხელმწიფე და უავგუსტოესო ხელმწიფე იმპერატრიცო, ჩვენგან, ეკლესიის მოსამსახურეთაგან და მთელი სასულიერო სამწყსოისაგან უუერთგულები და მხურვალე ლაცვა თქვენ უდიდებულესობათა გვირგვინოსნებისა და მირონცხებისა.

მოვედით თავის მნიშვნელობით პირველს, უუმათარეს სამეფო ქალაქში, — ტაძარსა ამას შინ, რომელსაც იფარავს სასწაულთ მომქმედი ხატი დგთის-მობეფისა, და ადგნებუელი სარწმუნოებით და კეთილ ცხოვრებით ადგვინეთ მხურვალე ლაცვა ამა ქალაქის და მხარის ზეციერი მფარველისადმი, რუსეთის ხალხის და მთელ ქრისტიანეთა ერთგულ მფარველის წინაშე, რათა დაგიფაროს თქვენ ზეცისა და ქვეყნის მფარველმა დგთის-მობეფლმა თავის უუმიდესს საფარველსა შინა და მოავლინოს ზეციური გურთხევა მენზე, უსაყვარელესო ხელმწიფეო ჩვენო, მენს უავგუსტოესს მეუფელსა ზედა, სამეფო სახლსა და უოველსა ხალხსა მენსა ზედა. და ემშენს მეფობა თქვენ, დიდო ხელმწიფე, საუკუნოდ დიდებისა და ძლიერებისა, ჭეშმარიტი ბედნიერებისა, და კეთილდევობისა დგთისაგან დასული დიდი სახელმწიფოების რუსეთისა!

გურთხეულ არს მომავალი, მეფე დგთივად გვირგვინოსანი, სახელითა უფლისათა!

~~~~~



ვ ა შ კ ლ 3 6 0

ი ა მ მ ბ ი ა რ

სხოვნას ყოვლად სამღვდელლო ვაბრეილისას.

იმერეთის ეპისკოპოსის ვაბრეილის მიცვალბაზე, დაწერილი 1-ს მარტს, 1896 წელს.

I

სულთ-მნათო, დიღო მოძღვარო,  
ერთგულო ივერისას,  
თავდადებულო მუშაკო  
მთელის ქართველის ერისას.

განმამტკიცებო რჯულისას,  
გზათა ეკლოვანთ მკაფველო,  
ქირვეულთ, ღარიბთ, უპოვართ  
ნუგეშო, მამებრ აღმზარდელი.

ღღეს შენ განგებამ ზენარამ  
მიგიღო თვისად წილად,  
ვით აბრაამი ვამკვიდრა,  
მუნ ინეტარებ ჟამ მარად.

დაუღალავი მუშაკი  
ამიერ თუმცა გვიქრები,  
წინაშე ღვთისა ღვდისა  
იქ შევამდგომელად გვიღვდები.

მის წილად რგებულს ივერსა  
კვლავ მოუკლინას მოძღვარი,  
შენებრივ ოქრო-პირობდეს,  
შენებრივ იყოს ნეტარი.

შენებრ უსმენდეს მას ერი,  
შენებრ მოძღვრებით გვატკობდეს,  
შენებრ გვაშენობდეს ციურ ძალს,  
შენებრივ სულსა გვიშენობდეს.

ნეტარო, ღვთისა რჩეულიო,  
იყავნ კურთხეულ ამიერ,  
სულით უკვდავო და ღირსო  
დიღო მოძღვარო, ვაბრეილ.

ქოწი ზიარგ. ღადიანი.

შენთვის შენს მიცვალბას ის პირი არ სწუხს,  
ვინც გიხილა ზე ისმინა შენი მცნებანი,  
რომლით გაშოკრის ქემპარიტბა და ძლიერად ქუხს,  
მათ ამტკიცებენ შენნივ პირადნი თვისებანი.

შენ აღრვევ აღიმთე რა ლამპარი სიწმიდის,  
მიძიდვან იგი წმიდათა საყოფელად,  
ვით იქვენ მიწოდებულ მსაჯულისა დიდს,  
იქ გადიდა მან, აქვე ჰგიებ კვლავ ცხოველად.

ვერ შევძენთ შენს დიდებას რადენ უღრეს  
გაღიღათ, აღგამიღათ, თუ გაქებდეთ,  
არამედ მწყემსო მეცნიერო ვკითხო მხოლოდ ეს,  
რადგან ინებე შენგან ცხოვარნი შორსა ვსდგეთ

რა კაცობრივმან განზრახვამ გვძლიოს,  
მით წინააღმდეგ სჯულთა გვწაოდდეს,  
მაშინ მისგან ვინ შეგვაჭიროს, ვინ მსწრაფლ გვე-

და მისთვის შემდეგ შენსა ვისი გვრცხვენოდეს?

ვინ წარმოგვიდგეს შენებ გულის აღვირად?—  
მას ვეკრძალოდეთ, მისდამი გვაქენდეს სასიება,  
არა ოდენ მისის მოძღვრებით, არამედ მისდამიცა

და შემდეგ შენსა შენებრ მოსცეს გულს განსვენება.  
შენ შეგვავედრე, მწყემსო ნეტარო, ზეციერს მამას:  
მან მოგვივლინოს შენებრ სულთ-წინამძღვრობა  
შენოდეს,  
ერს მოგვაგონებდეს შენს პირადობას, შენსა ხმას,  
მას ვსასიებდეთ, ვეშიზოდეთ, მისი გვრცხვენოდეს.

ნ. გ. დადიანი,

გ ლ ე მ ს ი ს ა ლ ს ა რ მ ა ბ ა

ჰა, მოძღვარო, მაცხოვრის წინ  
კრძალვით ვარ მუხლ-მოძღვრეკილი!  
ოთხმოცი წლის მოხუცი ვარ:  
მისთვის ვარ ქედ-დადრეკილი.

იხილეთ იმიერ სული

ცოდვილი ვარ, ცოდვით სასევ,  
ეს ხომ კაცის ადათია!  
სული მიდგას მხოლოდ კიდევ,  
ესეც მღვთის ამანათია!

ექვისს წლიდან მიწა იყო  
ჩემი მამა, ჩემი დედა;  
წილად მერგო მასთან ბრძოლა!  
შავი ბედი უკან მდევდა,  
ენავდი, ვთესდი, ოფლსა ვღვრიდი,  
მოველოდი მოსავალსა;  
გულსა მაწვა მის ვარამი!  
უმზერდი შხის ჩასავალსა!

თუ მიმუხთლებდა ბედი მე,  
ნაწრომი წამიხდებოდა,

ცრმლით ვწვევლიდი გაჩენას,  
მით ცეცხლი მამედებოდა.  
ოდეს ვხედავდი მოსავალს,  
შევესტრფოდი მინდორ-ყანასა,  
უფალს მადლობას ვწირავდი,  
ვაქებდი მისსა ძალასა.

ერთ დროს მოვიძიე, ვაგლეწე.  
ჯაფისგან გავხდი ავათა;  
მე მოვრჩი, სხვები ვიმსხვერპლე,  
მზე ჩამივიდა შავადა.  
ოროლი შვილი დავმარხე,  
ვაქკაცი სოფლის დარები,  
მათი მოხუცი მშობელი  
ცოცხალი დავიარები!..

ოხ, რათ დასტოვეს ცოლშვილი,  
გადაუხდელი ვალები!  
უძლოური მამა, მწუხარე  
მტერსაც კი შევებრალობი!  
ვერ გავხდით ღონეს, არ გვანდეს:  
ჯერ არ ჩაგვეცა შავები;  
ოთხი დღე იყო ვასული,  
კარზედ მოგვადგნენ სვავები.

მობრძანდენ მოვალეები,  
მიიღეს თვისი ხვედრია;

ყოველს მოხელეს მიუწყეს,  
მწყემს წილი აღარ ხვედრია.  
წერილი მყავს შვილი-შვილები,  
არ დამჩრა ლუკმა პურია:  
ვერ გაძდა ჩემი სისხლითა  
უსჯულო მოშა ურია!

ვინ მომაწოდებს სახრდოსა?  
ვინ არის ღვთისნიერია?  
ღმერთსაც შევცოდე, კაცი ხომ  
არა მყავს მადრიელია!  
ქერიე-ობოლთა მფარველობას  
შენა გვედრი ქვეყნის მხსნელო,  
ნუ მოუშვებ მათზე მტარვალთ,  
ბოროტების დამორგუნველო!

ბეგრი რამე სხვაც შევცოდე:  
გვედრები, მომიტეო!  
ცოდვილ სული ვით გავკურნო?,  
ღარიბი ვარ უშემწევო!  
ქამიც არის, ვესალმები  
ჯან მიხილი ცრუ სოფელსა,  
ქმობის დაუძინებელს მტერს,  
მოყვასთ უარის მყოფელსა.

ბეგრჯელ მახსოვს; სულის მამაც,  
დარიგება შენი ტკბილი!  
ბეგრჯელ სასტიკი მხილება,  
და ზოგჯერაც გული ჩვილი;  
ის სიტყვები, გრძნობით სასევ,  
გულში ღრმით მაქვს ჩანერგული!  
წუთ-სოფელში შური-მტრობა..  
მეტი არის დანერგული!

სიკვილის შემდეგ ამოა  
ოქრო, გინა ვერცხლის ფული..  
ღმერთო, მიხსენ ტანჯვისაგან!  
მიიღე ცოდვილი სული!..

მლ. გიორგი გვიმრაძე.

# ახალი მშენებელი და შენიშვნები.

6 ივლისს ყოველად სამღვდლო ბესარიონი მწირველი ბრძანდებოდა საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე გარდაცვალებული მარინე საყვარელიძის ასულის სულის მოსახსენებლად. მეორე დღეს, კვირას, მთმა მესუფებამ სწირა ქუთაისის კათედრის საკრებულო ტაძარში და იმავე დღეს, 2 საათზე საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ტყიბულში და იქიდან რაქის მაზრაში ეკლესიების სარევიზიოთ...

\* \*

იმერეთში, თითქმის, ყველგან გოლვა არის. ვენახები ყველგან ძლიერ დახარადა. ხალხში ჯერჯერობით ტანმართლობაა.

\* \*

ყველამ იცის, რომ სოფელში ათასნაირი სხვა და სხვა გადასახადი არის დაწესებული: სახელმწიფო, საფოშტო, მღვდლის, მწერლის, იასოულის და სხვაგვარი კიდევ ვინ მოთავსის. ამ ფულების მოკრებისათვის არავითარი გარკვეული წესი არ არსებობს. დღეს საფოშტო ფულების ინსპექტორებს შეეშუშავებით სხვა და სხვა ზომები, რომელთა საშუალებით ყველას ეცოდინება, თუ როდის რამდენი უნდა გარდაიხადოს და რასაც გარდაიხდის, კვიტანციებსაც მიცემენ ფულების მიღებაზე. ამის შემდეგ, იმედია, გლეხებს ერთი ორად და რამდენიმე გზით ერთი და იგივე გადასახადი აღარ გადახდებათ.

\* \*

ოც ივლისს საფ. საგურამოში ილია წინასწარმეტყველის დღეობას ერთს იქაურ მცხოვრებს დიდი აღაპი გაუმართავს თბილისის ღარიბი ხალხისათვის. აღაპებს ძველ დროში გარდაცვალებულებს მონათესავე და მეგობრები გარდახდიდნენ ხოლმე, მაგრამ დღეს ცოცხლებიც იხდიან, თუ საიმედო და გულშემატკიავარი შემკვიდრებები არ რჩებათ.

\* \*

ჩვენ მივიღეთ რუსულს ენაზე გამოცემული წიგნი — «კავკასიის ცხოვრება». წიგნი გამოცემულია ბ. შიო დავითოვისაგან. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, ნახატებით და ღირს ერთ მანეთად. ვაგზანით 1 მ. 20 კ. აი წიგნის შინაარსი: «სტუმარი», ოსთა ცხოვრებიდან. «გვირგვინოსნება ქართველ მფეთთ». «არაგვი», ლექსი ილია ჭავჭავაძის პოეშიდან «აჩრ-

დლი». ქართული თეატრი 1850—1895 წლებში (ლამო), ლექსი. «კალო», კახეთის ცხოვრების სურათი. «გულუციხი არაქელა», სომხის ცხოვრებიდან. იოანე ოქროპორის შესანიშნავი სიტყვები. «შავეშეთი და იმერხევი», «რე-რო», იმერული სიმღერა.

\* \*

დ. ყვირილის ხიდი ვაჭრობით გაიკა, და იმედია მომავალ ოქტომბრის თვეში მზად იქნება, ქვეითი ხალხი, აგერ ორი თვეა, რაც დეკ. დავით ლამაზშიძის მიერ გაეთებულ ხილზე დადის, მაგრამ ურმით ხალხი ძლიერ წვადლებაში არის, რადგან ფონი, ხილის სიახლოვეს გაფუჭებულია, და გაღმისკენ ვასავალიც სამარჯვო არ არის. ურემმა უნდა გაიაროს ხიდ ქვეშ და თითქმის ნახევარ ვერსის მანძილზე უნდა იაროს რიყეზე, რომ ქვევით: გავიდეს გაღმით.

\* \*

ყვირილის პოლიციის «პრისტავი» ქვეთარაძე ძველ სენაკში გარდაიყვანეს და მის ნაცვლად ხარაგაულიდან წერეთელი გამოიყვანეს. წერეთელმა დაიბარა ყვირილის მცხოვრებნი, განსაკუთრებით ვაჭრები; გამოკითხა მათ ძველი წესწყობილება და ჩვეულებანი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოეწონა. შემდეგ გამოუცხადა თავისი შესწავლულმა მისივე მოალოებისადმი. მისმა სიტყვამ შემენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, და ღმერთმა ჰქმნას, აღსრულებისოც ყველა ის, რაც აღუთქვა დაჩაგრულ ყვირილის ვაჭრებს. ვაჭრებს ხდებოდა 1200 მანეთზე მეტი, მაგრამ რაში იხარჯებოდა ეს ფულები, მათ არ იცოდნენ. იმედია, რომ დღეის შემდეგ უფრო გაგებით იქნება ეს ფულები დახარჯული. ყვირილოში რომ საქონელი იკვლის, იმდენი ზოგაერთად იღოს არ დაიკვლება. ხვადან თითო საკლავზედ აბაზობისაგან შეკრებილი ფული დიდ თანხას ადგენს. ყვირილაში კი არც ამ მხრით არის შემოსავალი, არც საწონისაგან და არც სხვა რაიმესაგან. გამჭირავებ «პრისტავი» ბევრს კეთილს წარმატებას მოახდენს დაბაში.

\* \*

ს. წვევაში (შორაპნის მაზრაში) სამი დღით იმართება ბაზრობა ყოველ წელს 14, 15 და 16 ივლისს. ამ ვაჭრობიდან (ბაზრობიდან) ხსენებული სოფლის სამრევლო სკოლას დაწესებული აქვს შემოსავალი, თითქმის, ყოველ წლივით ოც თუმანამდე. ამ წელში გზების უმეკონებლობისა გამო ვაჭრები

ვერ მოვიდნენ და ვაჭრობაც არ ყოფილა წინა წლების მსგავსად. ამ ბაზრობამ ორი საწყალი კაცი იმსხვერპლა, რომელნიც საქალამნეებს ყიდდნენ. დაბრუნებისას მათ დასცვიან საღამოზე გზაზე და ორივე მოუკლათ. მკვლელები დღესაც არ არიან ნახული.

წიფასა და ყვირილას შუა ისეთ ქვეთვირის ხიდებს აკეთებენ, რომ, ვგონებთ, მათ თავის დღეში არა დაეგვაროსთ რა, მაგრამ ლიანდაგი კი ზოგიერთ ადგილას ისე უყურადღებოდ არის დატოვებული, რომ პატარა წყალდიდობაც კი გაფუჭებს. სასოფლო შარა გზა, რომელიც ყვირილიდან წიფამდე რკინის გზას მიჰყვებოდა მდინარეების მეორე ნაპირას, სრულებითაა გაფუჭებულია. პირველად რკინის გზის გაყვანის დროს პირობა იყო დადებული, თუ სადმე რკინის გზის გამოისობით გზატკეცილი გაფუჭდებოდა, რკინის გზის საზოგადოება ვალდებული იყო, თავის ხარჯით გაეკეთებია იგი. დღეს კი რკინის გზა არა თუ აკეთებს, არამედ ბევრგან თვითონვე აფუჭებს ამ გზებს, რომ წყლის კალაპოტი რკინის გზას ააცილოს. საზოგადოება ნამეტნავად შეწუხებულია ამ გზის უქონებლობით, მით უფრო, რომ ეს გზატკეცილი წარმოადგენს ერთადერთ მარჯვე გასავალს მდ. ყვირილას, ძირულას და მთელ ჩხერიმელას ხეობაში.

კიქის საზოგადოებაში (შორაპნის მაზრაში) ორი-სამი დღე იყო პოლიციის მეთვალყურე დაქუთ. ოლქის სასამართლოს გამოძიებით, ამბობდნენ, ვითომ ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს მართებლობის პირებისათვის. ესლა, როგორც ამბობენ, ეს წინააღმდეგობა მდგომარეობდა თურმე მასში, რომ ორ სართულიანი სახლის აშენებანზე არ დათანხმებულან, რადგან სიღარიბისა გამო არ შეგვიძლიაო. სწორედ საკვირველია ზოგიერთი კაცების სურვილი. გაუგონაით, რომ სავალდებულო სწავლება უნდა იქნეს შემოღებულიო, ისიც მუნჯკური მითომით; მაგრამ ის კი არ არის გამოცხადებული, რომ მაინცა და მაინც საზოგადოებას აქვს თუ არა შეძლება, უსათუოდ სახლები გააკეთებინეთო. საზოგადოებას თუ სურს, თვითონ გააკეთებს სკოლის შენობას. ძალდატანებით არაფერი არ ვარგა

და არც არაფერი გაკეთდება. მართალია, ადგილად ახერხებენ ჰარისტავებია სოფლის განაჩენის შედგენას, მაგრამ ამ განაჩენების სისრულეში მოყვანა ყოველ შემუშლებელი ხდება ხოლმე. ლევაშოვის დროს პომპრიგებელი შუამავლების თანადასრუბით და მეთაურობით საზოგადოების „პრიგოვორები“, რომელნიც დამტკიცებულიც კი იყო გუბერნატორისაგან, მოწმობენ, ვითომ, ყოველ საზოგადოებაში არის პურის მაღაზიები და სასწავლებლები. „პრიგოვორები“ კი ადგილად შეადგინეს, მაგრამ საქმით კი ყოველად შემუშლებელი აღმოჩნდა მათი აღსრულება. „პრიგოვორები“ ყურადღების დამსახურებისათვის კი არ უნდა დგებოდეს, არამედ საქმის ასასრულებლად!...

იმ ვერცხლის მენდლებს, რომელნიც უნდა დაურიგდეს სახელმწიფო სამსახურში მყოფთ იმპერატორის აღექსანდრე III სახსოვრად, მიიღებენ ის მღვდლებიც, რომელნიც აღექსანდრე III დროს მსახურებდნენ, მაგრამ დღეს კი შტატ გარეთ იმყოფებიან.

უწ. სინოდი აცხადებდა ამას წინეთ, რომ იმ მკვლერ ჯვარს, რომელიც უნდა დაურიგდეს ყოველ მღვდელს და ბერ-მონაზონს, როგორც მღვდელლობის ნიშანი, აკეთებს მშ. გურკაევი 28 მანეთადო. დღეს სხვა პირებს განუცხადებიათ, რომ ამავე ჯვრებს ბევრთ ნაკლებ ვააკეთებენ, და ბრონზისა კიდევ სულ იაფად.

ჩვენს რედაქციაში მოვიდა უბუთის სოფლიდან გლეხი დავით ხელაძე და განაცხადა, რომ მას დაკარგვია 12 წ. ვაეი. 7 ლეა დაეგებს ღვერაგუგიაო.

### საქართველოას

#### მეფლი დროას თავგანსავალი.

(გაგრძელება \*).

მრავალნი წელინი მეფობით ჰყო ტკბილად გატარებულნი, შემდგომად ადამის მიერ ვალი მძლვედ შემოღებულ მანცა ინება გარდახდად, ვით იყო ტრფიალებულნი განვიდა სოფლით, შეგებულ ჰყო ანგელოსთ დასათკრებულნი. ვითარცა სურდა, აღვიდა მას წმინდათა სავანებს,

\*) იხ. „მწყემსი“ 12 № 1896 წ.

შვირაცხა წმიდათთანა, აღისწრაფა მამის ნებსა,  
 ხმა მარღლოის მისთვის ქართლი, მთანი ჰნამენ შვიბის  
 ცერებას,  
 ყოვლნი ზოგად იხარებენ, წმიდა ჰყოფენ მისთვის  
 დღებსა.

ესე ძლიერი ხელმწიფე მეორე ღირსისხოვისა,  
 ქართველთა შორის მეფეთა ქმნილება მისი ჰყოვისა,  
 სხვა სიმნენ, სიბრძნე, სიმდიდრე, ვისცა ჰწაფდს მა-  
 ლედ ჰპოვისა,  
 იკითხოს მისი ცხოვრება გულად ლომ ტან ახოვისა.

ქართველთა სულგებრ სატრფობი იგლოვეს თვი-  
 სის წესითა,  
 მიიღეს მეფეთ სამარხოს დიდებით უაღრესითა,  
 იტყებდნენ, იყვნენ ცრემლითა ცეცხლისა უცხელე-  
 სითა,  
 თავსა იტყოდნენ ობლებად, ნაცარსა მსხდომნი კენე-  
 სითა.

წელიწადს ერთსა ძაძითა მოსილნი ბნელსა  
 სხდებოდეს,  
 სამღვდელთა დასნი მსხვერპლისა შეწირვას არ მოსც-  
 დებოდეს,  
 გლახაკთა მიეცემოდა, მკლავანი ვამდიდრდებოდეს,  
 უძღურთა გამოსაზრდელად საუნჯით განწესდებო-  
 დეს.

ქერივ ობოლთათვის წარღებად საჰურტლის  
 კარნი ღიანი,  
 ხმობდეს ლაღადნი, მიიღეთ ოქრონი ათ დანგიანი,  
 გახსოვდესთ მეფე ცხებული, ოთხ კიდედ სახელიანი,  
 უკამოს ჟამის მეტრფე და მზიანის ღამით სვიანი.

დავით მეფისა და აღმაშენებლისა ძის დიმიტრის მეფედ დასმა  
 ქართველთაგან, და მოადგომა გარე ყოველთა ერთგულთა და  
 ნამსახურთა მამისა მისისათა.

რა გარდახდა გლოვის დრონი, შეკრბენ ყოვლ-  
 ნი ქართლოსელნი,  
 დასვეს მეფედ ძე მეფისა, გარ მოაკრბენ ერთგულ  
 მსვლელნი,  
 მეფედ ჰსაცხეს და განაშენეს სრა-სამყოფნი, წოლ-  
 კრე-ველნი,  
 წინაშე სდგეს შეჰურვილნი მკლავ-მტკიცენი ყმანი  
 ძველნი.

იყო საქმეთა მამისთა დიმიტრი მარჯვედ მქმნე-  
 ლითა.  
 კეთილად იწყო განგება, დავითის გზათა მსვლელია,

ყოველთა თვალთა სატრფობი და გულთა სასურ-  
 ველია,  
 მბრძოლი უებრო, საქები, რაზმთ მწყობი საკვირე-  
 ლია.

ესე არს მეფე დიმიტრი, მამისა კვალსა მარბი,  
 მართ შესაბამი მისი და არა რად საწუნარები,  
 ჰბრძანა ლაშქართად გაცემა, გახსნა სალოართ კა-  
 რები,  
 ჰგვანდა ოქროთა სიმრავლე არს ზეცით ნაწივიმარები.  
 გასცა უზომო, აღაესნა სპანი და სპასალოარები,  
 უძღვნა მრავალი სამღვდელთა ოქრო ქსოვილი ლა-  
 რები,

შესწირა ეკლესიათა სპეკალნი ხილვად მქმარები,  
 ქერივ-ობოლთა და გლახაკთა იყო მიცემის მყვარები.  
 მამისა ხელსა ფლოზილნი ყოვლნი სურვით შე-  
 ეკვეთნეს,  
 თუ სად იყვნენ გულად მრუდნი, შეიპყრეს და თავნი  
 ჰკვეთნეს,  
 უერთგულესს მონებითა კვლავცა მეფე აიფენს,  
 შიში შეზებათ შორიერთა ვერსა სადა დაიყენნეს.

ჰკადრეს, დმანისის ციხესა არ ვინმე გულად  
 ავები,  
 არ კეთილ მქვერტნი სამეფოს, უნებსთო დახსნან  
 ზავები,  
 გამოიკითხა სიმართლით, ჰსცნა იყვნენ დამნაშა-  
 დეუდნი მსხვერპლნი ობოლნი და  
 უვები,  
 დაიპყრა ციხე მიულთა, დასტრეს ბედშავთა თავები.

დიდისა მის მძლავრისა საღუბ ყენისაგან აღბორება დიმიტ-  
 რი მეფესა ზედა შურის ძიებად მამისა მისისა დავით აღმაშე-  
 ნებელისა, რომლისა ხელითა მრავალ გზის მოწყვეტილ-იყვნენ  
 სპარსნი, და მისდგომოდა ყენითა სირცხვილი. ამის ესევითარისა  
 შურის ძიებათთვის, ჰსცნა რა გარდაცვალება დავით უძღვე-  
 ველისა მეფისა, შევირობა ყოვლისა სპარსეთისა ძალი, აღუზა-  
 ხა მუდრობათა სხვათა და სხვათა კერძოთასა, მომართა მეფეს  
 დიმიტრის და ქართველთა, რეკა აოხრებად ყოვლისა ქვეყა-  
 ნისა გიორგისა, გარნა ძალმან ქრისტესმან ვითარ უკუნ აქ-  
 ცია და დაჰხსნა გულის სიტყვანი მისნი, ვითარ აქითაველი-  
 სანი, ისინიეთ:

რა ესმა საღუბ ყენისა გარდაცკლა დავით გვი-  
 რისა,  
 სთქვა, სპარსეთისა დედანი მკვლავთა მისთაგან სტი-  
 რისა,  
 მრავალჯერ ქმნილა ქართველთაგან ჩვენზედ შემთხ-  
 ვევა ქირისა,

აწ გემართებს ჯავრი ვიყაროთ, ვჰყოთ მოხსენება  
ძვირისა.

დავითვის მკლავთა სიმტკიცით ჩემს წინა მსხდომ-  
ნი ჩიოდეს,

როოდნენ სპარსთა დამლუნნი გამოქცეულნი რბიოდეს,  
მისის მახვილის მკვეთრობით ნაკოდთა წყლულნი

სტიკოდეს,

სრულად დამდაბლდნენ მისგამო, ვერა ამაყად ყი-  
ოდეს.

არღა სადა გვაქვს სიმდიდრე, და ცილოლ არს  
საქურტლებია,

დაეცა სპარსთა დიდება, ქართველთა შესძინებია,  
აწ, ვნებავს, სპანი შეეჰკრიბო, რაც ჩემი საბრძანებია,

სრულ მოგაოხრო გურჯისტანს თუ სადა შენობებია.

ყოველნი სპარსთა დიდდიდები დამემოწმნენ მის-  
გან თქმულებს,

სადუხისა ვაზირები ერჩნდნენ მისგან ბრძანებულებს,  
ყოველით კილით მოიწვიეს მრთელნი ანუ შწილნი

თულებს,

სავსედ დიდსა სატახტოსა მბრძოლთა სცნობდი და-  
რასმულებს.

განლაღნა საღებ ყვენი, ბრჭალსა მძლედ ვაიმა-  
ხედლა,

აღმხედრდა ამაყებული, ქრისტეზე ბორგვით სწმა-  
ხედლა,

ეტყოდა სპათა სიმრავლეს დიდებას დაუსახვედა,  
ტკბილის სიტყვითა მითდამი რეცა თუ მუფუზარხვედა.

ეუბნებოდა, შეხვდითო მტერთა მხენდ, მამა-  
ცობითა,

გარწმუნებ, გავსებ ყოველთა მოცემა საჩუქრობითა.  
და აკლდა გურჯებს ვისითა იყვნენცა იმედობითა,

ვერ ვინ დაგვიდგამს სვიანად ვიცი ვართ ამა გზო-  
ბითა.

სადუხ ყვენიდან უთვალავითა ლაშქრითა მისგლა ანისის ქა-  
ლაქსა ზედა გარემოდგამა მისი, და ანისელთაგან მოხსენება  
მეფისა მათისა დიმიტრი დავითის ძისა ფარულსა შიკრიითა  
და შემწეობისა თხოვე მოქალაქეთაგან.

წარმოველს ლაშქართ ურიცხვად აქვსთ ფურ-  
ცელთ უმრავლესობა

შემოველს ქართლის სამზღვარი შეექმნათ ცეცხლთა  
მკვესობა,

მოადგნენ ქალაქთა შორის ვის აქნდა უკეთესობა,  
გარე შეიცვეს ანისი, ჰყვეს რაზმთა გარემწესობა.

ენადა საღებ ყვენსა ძალით შესჭირდა კარებსა,  
ყოველილთთ ეწვა ცეცხლითა შიგან შესრულთა

ჯარებსა,  
იტყოდა, მოვსწყვეტ ერთობით, ვადინებ სისხლის  
ღვარებსა,

მხეტთა შეუქმნენ საღგურად მე მათსა ნაოხარებსა.

მსწრაფლად იჩქითად შიკრიკი კისკასად ანე-  
ლებისა

მეფეს იახლა დიმიტრის მყის ხილვა ესწრაფებისა,  
შეუძღვნენ ჰქადრა საღამი ერთგულის მისის ყმებისა,

არას გვეწვიე მეფეო გვიხდეს დღე მოჭირვებისა.

მოვიდა ზევაი ყვენი მოგვადგა ქალაქს გარებსა,  
მონანი თქვენნი შიგანით ვართო ბრძოლასა მწა-  
რებსა,

არ ითქმის სპათა სიმრავლე ცათა ვარსკვლავსა ჰსდა-  
რებსა,

ყმათა მოგვხედე მეფობა ჩვენთვის ნუ დაიზარებსა.

დიმიტრი ქართველთა მეფისაგან ანისის ქალაქს საღებ ყვენსა  
ზედა საბრძოლველად სპათა მოწვევა და სიმწრაფლით წასვლა  
მას ზედა გულოვანითა და რჩეულითა ქართველთა მეომართა,  
და ბრძოლითა სასტიკითა დამარცხება საღებ ყვენისა, გაქცევა  
მისი შიშითა დიმიტრი მეფისათა, და დაშთომა ყოვლისა სამ-  
ძიმარისა სპარსეთისა, და მრავლისა უნჯისა შოვნა სპათა და  
ანელთა ერთაგან.

რა ესმა მეფეს დიმიტრის ვეფხებერ შესლტნა,  
დაიზახნა

აწვე მოკრბენ გულოვანნი მტერმან ესრეთ ვით დამ-  
ლახნა,

სპარსთა მეფემ გული მდებრი ჩემზედ ვითმცა გაიმ-  
კვახნა,

არ შეეარჩენ, ღმერთი მწედ მყვეს, ჯვარი გულსა  
ღაისახნა.

მოვიდენ რაზმად გულმყარნი მამისა თანაზრდი-  
ლები,

ქრისტეს მტერთ ზედა მახვილნი მძლედ აქნდათ აღ-  
ლესილები,

მსწრაფლად გარდავლენს ზეგანნი, მიდიან მშვილდ  
მოწვიდლები,

ვითა მფრინველნი ფრინვიდენ მტერთათვის ფრთე  
გაშლიდლები.

თავს დაეცნენ საღმრთო სულებად ვითა მპარაენი,  
შეუღვეს ბრძოლა სასტიკი სადა სპარსთ ეცათ კა-  
რაენი,

ხოცდნენ ურიდან, შეიქმნენ უღმრთოთა შემზარაენი,  
ბასრისა ხმლითა ამდაბლეს მათზედა მემუქარაენი.

მოსრეს რიცხვით მიუწოთომი მკვდარი ჰყრია  
მთაებრ გორად,  
მეფე ბევთრით შექურვილსა სპარსთა ჰყვეთდა შუა  
ორად,  
სამსა დღესა ქრა-დაკაფა ჰქონდათ ურთერთს ვანუ-  
შორად,

დასცეს ძალი სპარსეთისა, ცხოველნი ჰყენეს სრუ-  
ლად მძორად.

საღმრთო ცოტათა მონითა გაიქცა, თავსა ეწია,  
მტირალი მირბის შემდრკალი, ღაწენი აქეს დანა-  
ხეწია,  
დაშთა ჩადრნი და დროშანი ქათველთგან დანა-  
ლენია,

მაშინ მოსპო სპარსობა, რისხვა ზეგარდმო ეწია.  
დაისხნა ანის ქალაქი მტერთაგან გარდმოდგე-  
ლები,  
შევიდა სრასა მორქმული მეფე დიდებით მკულები,  
მისცეს მადლობა ქრისტესა, ჰყვეს მსხვერპლი შეწი-  
რულები,  
დიდი და მცირე შეიქმნენ ძვირფასით დატვირთუ-  
ლები,

თვით მოქალაქე ყოველი ზიდიდა სპარსთა ნიფთებსა,  
ვერა მოღვედენ ათს დღესა სპარსთა ნაშთომსა ტვირ-  
თებსა,

ვისცა რა უნდის ჰკრეფდიან არაენ განარიდებსა,  
ყოველი სული საუნჯედ სპარსთ ნაშთიარსა მის-  
დებსა.

მეფემან დაჰყო დიმიტრიმ ანისსა დღენი მცი-  
რენი,  
განავო იგი კერძონი ჰყო მტკიცედ დანაშკირენი,  
მოსპო ყოველითურთ ბოროტნი გვამები მიმოპირენი,  
მოპრუნდა ძღვევამოსილი ახარნა თვისნი მპირენი.

დიმიტრი მეფისაგან დატყვება მეფობისა და თვის წილ დასე-  
ძე თვისნი დავით მეფედ და თვით მონაზონ იქნა.

დაჰყო დრონი მეფობითა დიმიტრიმან მორქმუ-  
ლობით,  
გარნა ღვთისა სიყვარული გულსა ჰქონდა მეტად  
ჰყრობით,

არად სდევდა დიდებასა სახელს რაცხდა ამაოშით,  
შეილი დასეა თვის წილ მეფედ, თვით სცხოვრებდა  
მონაზნობით.

დაჯდა მეფედ დიმიტრის ძე, დავით ტახტსა  
ნებიერად,  
განაგებდა სამეფოსა ყოვლად კეთილ გონიერად,  
განვლო დრონი მშვიდობითა, არსით უნდა მბრძო-  
ლი მტერად,  
მისცა ვილი ბუნებისა სულის სასძლოს შევლო მზე-  
რად.

გარდაცვალება დავით მეფისა დიმიტრის ძისა და დაჯდომა  
მეფედ ქართველთა ზედა, გიორგისა ძისა დიმიტრი მეფისა და  
ძმისა დავით მეფისა, რომელიცა იყო მანე, ახოვანი, ძლიერი  
ბრძოლასა და გულად მყარი.

კვალად დაჯდა დიმიტრის ძე, ტახტს გიორგი  
გულად მყარობს.  
თვით მეფისა დავითის ძმა ვითა გმირი სიმნენს მყე-  
რობს,  
განამდიდრნა ერთგულ ქმნილნი, მათზედ ტკბილად  
მოუბარობს,  
უხვად იყო გამტემელი სვე სვიანად მთა და ბა-  
რობს.

**რედაქციის წასუხი.**

**მგ. ბესარიონ გ- ძეს.** თუ ეკლესიას ფული არა  
აქვს, ბლაღოჩინს არ აქვს უფლება  
მღვდლის უნებურათ მისი ჯამაგირით  
რომელიმე ყურნალი ანუ გაზეთი  
გამოაწერინოს, თუგნდ ყურნალი სა-  
ვალდებულოც იყოს.

**სუკადიში მცხარეებო.** ჩვენ გამოცემანი მოიკითხეთ  
მღვდელ მ. მიხეილ ჯიქიასთან.

**შემთხვევათი კორაქსპონდენტებს.** გთხოვთ, როდე-  
საც რამეს იწერებოდეთ რედაქციაში,  
გარკვეული ხელით და შავი მელნით  
დაწეროთ ხილმე.

სახელმძღვანელონი ღ სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერალნი ბაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედღე-მწესი, ანუ აზნანი და პირველი საკითხავი წიგნი, საიო და სამეფელო სკოლებში სწავრებელი, მე-11-ტე შეფეხულო გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყარაულია თვეში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი ღელანი, ასე, რომ ამ წიგნის მზარებელი აღარ მოუნდებთ სიდეა არც სახატავებისა და არც ღელანისა. შასი ისევექესი შური, ყლით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და მართლის ენის სახელმძღვანელო დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთობა ხუთ შურათ, ყლით მჰ კაპ.

მშენებლის პირი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეჩვე გამოცემა შეწყული სურათებით და საქართველოს ქარტი, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყლით ოთხაბაზ უხალათუნი (90 კაპ.). უყლოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთობა ოთხ აბაზს, ვინც ოკსა—თოხმეტ შურად და ვინც ოკ-და ათსა—თოხმეტ შურად. მს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც მშენებელი სახელმძღვანელო მართლის ენისა და აგრეთვე უწმიდესის სინოდისაგან.

მკმკრი, ანუ აზნანი და პირველი საკითხავი წიგნი, საბორობაში სახმარებელი, გამოცემა მეჩვე, ფასი ორი შური ნარდათ მ კაპიკი.

მინც საყმაწვილო მოთხრობათ ბუნების მეცნიერეიდან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შური, ვინც ნაღს ფულზედ იყიდს ათს ცალსა, ცხრა შურად მიეცება წიგნი, ვინც ოკსა—ორ აბაზთ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

მმღლი, ანუ რჩეულია ლექსთა კრება მოზრდილ ყმათათეს, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

მწწწწ, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

მანანა რს ჰმანა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

სატის მიხმი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შური.

საქინის რიი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტი. მეორე გამოც. ფასი 10 კ.

პირითაჟი შუღღმტომბა. პუბლიცისტურა წერილი ღელანეი, მნიშველობის შესახებ კრძოდანიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი მართვალნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качестве учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихся» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утверждѣнія Господина Главнаго начальствующаго. (смотри «Сборникъ» распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967)

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано «Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

უყლოთ ეს წიგნები უმაჯერესად რეიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მღაზიაში ქუთაისში: მეჭყვეწვილოთან, კრადმესთან და ხეთველთან, ბათუმში თავართქილადესთან და კლანდექთან, ვოთში—ტულუშთან, ბურჯეთში და სინჯაში თავართქილადექთან, ღანჩუტში ცნკაცხთან, სუხუმი ქაქუანიდესთან, ყვარღოში—არაბიქთან, ასჩრევი ყარაპან ჩრეიქსთან, სურამში და ხაზურში შურღიასთან, გორში—კლანდექთან, თელავში—მხილ ცისკარამვილთან, სიღნაღში აზნანგობის მღაზიაში, ვლადიკავკში მასწავლებელ ბოცეძესთან. 15—9.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою, Тифлиса 22 Юля 1896 г.

Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣш, въ д. бр. Ханавыхъ, на Пѣмцкой ул.